ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2028549

ნომერი: AR1322643

თარიღი : 29.06.2015

გაცემის თარიღი : 23.07.2015

გაცნობის თარიღი : 23.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარჯანიშვილი , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ქურციკიძე პ/ნ 01015018332
- თბილისი კრწანისის ქ. N 7ა ბ. 17

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16.04.2015 წ. #1825976 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 29.06.2015 წ. #AR1322643 განცხადებით მომართა გიორგი ქურციკიძემ და მოითხოვა სამსახურის 16.04.2015 წ. #1825976 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 16.04.2015 წ. #1825976 ბრძანებით #01.16.05.003.007 (8619 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე სასტუმროს ასაშენებლად

დამტკიცდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
აღნიშნულ პირობებში ფიქსირდება შეზღუდვა, „კერძოდ: II პუნქტში – ძირითადი მოთხოვნები მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სამშენებლო განვითარების მიმართ, 1.2 ქვეპუნქტში – განაშენიანების რეგულირების ძირითადი პარამეტრები, მიწის ნაკვეთზე განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის გრაფაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი #დ/13/12/18 და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (სხდომის ოქმი N15 (02.04.2015წ.) წევრთა რეკომენდაციების გათვალისწინებით მითითებული შეზღუდვა (შენობა–ნაგებობის სიმაღლე განისაზღვროს მაქსიმუმ 5 სართულით)“. განმცხადებელი ითხოვს აღნიშნული შეზღუდვის გაუქმებას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვინაიდან, აღნიშნული შეზღუდვის (შენობა–ნაგებობის სიმაღლე განისაზღვროს მაქსიმუმ 5 სართულით) მოხსნის შესაძლებლობაზე საკითხი განიხილა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტომ (წერილი #დ/13/12/18) და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (სხდომის ოქმი N30 (16.07.2015წ.) სხდომამ, რომლის წევრთა დადებითი გადაწყვეტილების თანახმად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16.04.2015 წ. #1825976 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების ტექსტურ ნაწილში, კერძოდ დაემატოს ჩანაწერი შემდეგი რედაქტირებით: შენიშვნა: – II პუნქტში – ძირითადი მოთხოვნები მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სამშენებლო განვითარების მიმართ, 1.2 ქვეპუნქტში – განაშენიანების რეგულირების ძირითადი პარამეტრები, მიწის ნაკვეთზე განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის გრაფაში დაფიქსირდეს შემდეგი შეზღუდვა: „შენობა–ნაგებობის სიმაღლე განისაზღვროს მაქსიმუმ 6 სართულით“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16.04.2015 წ. #1825976 ბრძანებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კ.მ. #6) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.